დანართი 2
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის ---- იანვრის
N---------- ბრძანებით

პროექტი

ხელშეკრულება

ქ. ბათუმი **------ ---------- 2024 წელი**

1. მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლელა სურმანიძის სახით (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის …….. წლის .... №..... ბრძანების საფუძველზე), მეორეს მხრივ ----------(შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის _____ სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ (ღონისძიება „ანგიოგრაფიის დაფინანსება“) საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2.ხელშეკრულების საგანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“, ქვეპროგრამის „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარე-ბა“ ფარგლებში (ღონისძიება „ ანგიოგრაფიის დაფინანსება“) შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

3. ტერმინები

3.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

3.1.1. ხელშეკრულება - „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკ-რულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

3.1.2. ‘’დღე’’, ‘’კვირა’’, ‘’თვე’’, - კალენდარულ დღე, კვირა, თვე;

3.1.3. „ქვეპროგრამა“ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „ჯანმრთელობის დაცვა“ ქვეპროგრამა „მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება“ (ღონისძიება „ ანგიოგრაფიის დაფინანსება“);

3.1.4. ,,სამედიცინო ვაუჩერი“ (შემდგომში „ვაუჩერი“) – შესაბამისი ქვეპროგრამის ბენეფი-ციართათვის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ფინანსური ინსტრუმენტი.

3.1.5. „სამედიცინო ვაუჩერის მფლობელი’’ (შემდგომში - „ბენეფიციარი“) - ფიზიკური პირი, რომელსაც მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სამედიცინო მომსახურება უნდა გაეწიოს ქვეპროგრამის შესაბამისად. ბენეფიციარს, ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიღებისას აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებ-ლობა სამედიცინო დაწესებულებებს შორის;

3.1.6. „დაწესებულება’’ - იგივეა, რაც „მიმწოდებელი“;

3.1.7. „მერია’’ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. იგივეა, რაც „შემსყიდველი“.

3.1.8. „ხელშეკრულების პირობის (პირობების) დარღვევა’’ - ხელშეკრულებით გათვალისწინე-ბული პირობის (პირობების) შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

4. ძირითადი დებულება

4.1 ქვეპროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე (ქალებს 60 წლამდე, მამაკაცებს 65 წლამდე).

4.2 ქვეპროგრამის ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს სამედიცინო დაწესებულებიდან დოკუმენტაცია სოციალური მომსახურების სააგენტოდან საყოველთაოში ჩართულობისა და დარიცხული ხელფასის (მომსახურების პაკეტის) მითითებით (პაციენტის საინდიფიკაციო მონაცემები), რომელთა თვიური დარიცხული ხელფასი ნაკლებია საშუალო ხელფასზე (1000 ლარი თვეში /არასტაბილური შემოსავლის მქონე)/ თვითდასაქმებული), კლინიკიდან წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის 50% ფარგლებში და არიან რეგისტრირებულნი ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე და ვაუჩერის გაცემის მომენტში.

5. მომსახურების გაწევის პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან 2024 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით და ქვეპროგრამით განსაზღვრული პირობებით.

5.3. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და მოახდინოს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირება; ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შორენა თედორაძე, ხოლო მისი არყოფნის (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) შემთხვევაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ ფეტიძე.

6.2. ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის საჩივრის შესწავლის ან/და ახლად გამოვლენილი გარემოების ნიადაგზე შემსყიდველი უფლებამოსილია მიავლინოს მიმწოდებელთან თავისი წარმომადგენელი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლისა და მიმწოდებლის მიერ ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხის სისწორის ინსპექტირების მიზნით ხელშეკრულების ვადის მოქმედების ამოწურვის შემდგომაც.

6.3. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი პირები;

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების ხელშეწყობის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით (იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი);

6.4.2. წინამდებარე ხელშეკრულების და ქვეპროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებისას აღმოუჩინოს შემსყიდველის წარმომადგენლებს სათანადო დახმარება.

6.5. ქვეპროგრამის შესრულების ინსპექტირების დროს გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში მიმწოდებელის მიმართ გატარებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

6.6. ქვეპროგრამის შესრულების ინსპექტირების დროს გამოვლენილი არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნილი თანხა მიმწოდებლის მიერ დაბრუნებული უნდა იქნას შემსყიდველისათვის.

6.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს უფლებამოსილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს ან სხვა პირს, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას მომსახურების მიწოდებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შემსყიდველს მომსახურეობის შესრულებიდან არა უმეტეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი, რომელშიც მითითებულია ქვეპროგრამის ფარგლებში მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული მომსახურების/ მიწოდებული საქონლის ჩამონათვალი, მოცულობა და ღირებულება, სამედიცინო ვაუჩერის ასლი.

7.3 გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. დეკემბრის თვეში გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს არა უგვიანეს 20 დეკემბრისა. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

8.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით.

9. დაფინანსების მეთოდოლოგია

მიმწოდებლის დაფინანსება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ქვეპროგრამის ასიგნებებიდან.

10. ფასები

9.1. ფასების ცვლილება დასაშვებია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.2. სათანადო სამართლებრივი ბაზის ცვლილების შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულებაში შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

11.1. შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთდამოკიდებულება ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისა და შესაბამისი საფასურის დაფარვისას რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით. ხელშეკრულება განსაზღვრავს შემსყიდველის და მიმწოდებლის ვალდებულებას ქვეპროგრამით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომის დროს.

11.2. ქვეპროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევას წარმოადგენს ბენეფიციარისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა ქვეპროგრამის მიხედვით.

11.3. ქვეპროგრამით გათვალიწინებულ შემთხვევას არ წარმოადგენს:

11.3.1. მიმართვა იმ დაწესებულებისადმი, რომელიც არ მონაწილეობს ქვეპროგრამის შესრულებაში;

11.3.2. ბენეფიციარის მიმართვა მიმწოდებლისადმი იმ მომსახურებისათვის, რომელიც არ არის გათვალისწინებული ქვეპროგრამით.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

11.4.1. უზრუნველყოს შემსყიდველთან დადებული ხელშეკრულებით პირობების დაცვა წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;

11.4.2. უზრულველყოს ბენეფიციარისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

11.4.3. გაარკვიოს ბენეფიციარი (ან მისი წარმომადგენელი) თავის (ბენეფიციარის) უფლებამოვალეობებში და მისცეს საჭირო ახსნა-განმარტებები ქვეპროგრამის შესახებ.

11.4.4. ქვეპროგრამის მოთხოვნის სრული დაცვით აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება ბენეფიციარს;

11.4.5. ქვეპროგრამის შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია ბენეფიციარისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ;

11.4.6. 10 დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია სანებართვო/სალიცენზიო პირობების შეცვლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების დაცვით;

11.4.7. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ოპერატიულად მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია ბენეფიციარის შესახებ;

11.4.8. წინამდებარე ხელშეკრულებით და მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესით დადგენილი ფორმატითა და ვადებში მოახდინოს განხორციელებული მომსახურების თაობაზე ურთიერთშედარება;

11.4.9. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

11.5.0. მიიღოს შემსყიდველისაგან ქვეპროგრამის მიხედვით შესრულებული მომსახურების საფასური;

11.5.1. გაწყვიტოს ხელშეკრულება შემსყიდველის მხრიდან საფინანსო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევების, რაც აღწერილია ხელშეკრულების მე-14 მუხლში);

11.6. შემსყიდველი ვალდებულია:

11.6.1. ქვეპროგრამის ფარგლებში, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ქვეპროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების საფასური;

11.6.2. ქვეპროგრამის ფარგლებში დაამუშაოს და ორგანიზაცია გაუწიოს ქვეპროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტების დროულ მიწოდებას მიმწოდებლისათვის.

11.7. შემსყიდველი უფლებამოსილია:

11.7.1. მიიღოს მიმწოდებლისაგან ნებისმიერი ინფორმაცია ბენეფიციართა შესახებ;

11.7.2. განახორციელოს ქვეპროგრამის მიმდინარეობისა და ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება;

11.7.3. არსებული კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მოახდინოს რეაგირება ბენეფიციართათვის ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმის ან არასრულად, უხარისხოდ და დაგვიანებით აღმოჩენის შემთხვევაში;

11.7.4. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების დამუშავების შედეგად არასწორად მოთხოვნილი თანხების აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნული გაითვალისწინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისას.

11.7.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა, მე-11 მუხლის შესაბამისად.

11.8. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, აცნობოს მიმწოდებლის შემოწმების შედეგი დაწუნებული მომსახურების მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა , მიმწოდებელი ჯარიმის სახით იხდის შეუსრულებელი ვალდებულების (სამედიცინო მომსახურების ღირებულების) 1 %-ს, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში;

12.2. ქვეპროგრამით განსაზღვრული პირობის (პირობების) დარღვევის შემთხვევაში, რომელიც დაფიქსირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ინსპექტირების აქტით, მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს ქვეპროგრამით შესრულებული სამედიცინო მომსახურების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით დადგენილ ვადებში ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირგასამტეხლოს თითოეული ვადაგადაცილებული დღისთვის დაგვიანებით დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოთხოვნილი თანხის საფასურის 1-% ოდენობით.

12.4. მიმწოდებელი შემსყიდველს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ვალდებულია აღუდგინოს ხელშეკრულების პირობების დარღვევით მოთხოვნილი თანხები.

12.5. ჯარიმა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს ქვეპროგრამის შესრულების ინსპექტირების დროს გამოვლენილი არაკორექტულად (ზედმეტად) მოთხოვნილი თანხების მიმწოდებლისათვის ან/და ბენეფიციარისათვის დაბრუნებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

13.2.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;

13.2.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

13.3. შემსყიდველს ცალმხრივად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

13.3.1. თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.3.3. მიმწოდებლის მიმართ ბენეფიციართა მხრიდან პრეტენზიების ხშირი დაფიქსირებისა და სათანადო დასაბუთების შემთხვევაში.

13.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

13.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

15. ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი პირობები

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15.2. ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

15.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან 15.2. პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვამდე.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.3. მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისად ფაქტების დადასტურება.

17.4. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფომაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან.

17.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ს/კ 245576826; ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა ბ/კ: TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე _____	